


თავი I

დეტარმინირებული სიბნალების ზემოქმედება ჭრის სტაციონარულ სისტემებზე

სისტემები, რომლებიც გამოიყენება სიგნალების დამუშავების, გარდაქმნის და გადაცემისათვის, ფრიად განსხვავებული არიან შეიძლება აგების პრინციპებით და გამომავალი მახასიათებლებით. იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მათი შედარება და კლასიფიკაცია, ჩამოვაყალიბოთ საწყისი ცნებები.

თმა I.1. ზოზიგური სისტემები და მათი გათვალისწინებულებები

რადიოტექნიკური მოწყობილობა თავისი დანიშნულებისა და სირთულის დონის მიუხედავად წარმოადგენს სისტემას, ანუ ფიზიკური ობიექტების ერთობლიობას, რომელთა შორის არსებობს განსაზღვრული ურთიერთზემოქმედებები. სისტემის სტრუქტურაში შესაძლებელია გამოვყოთ შესასვლელი, რომელზეც მიეწოდება საწყისი სიგნალი და გამოსასვლელი, საიდანაც მოიხსება გარდაქმნილი სიგნალი. თუ გვაინტერესებს მხოლოდ კავშირი შესასვლელ და გამოსასვლელ სიგნალებს შორის და არ აღწერენ სისტემის შეიძლება, მაშინ ამბობენ, რომ სისტემა წარმოადგენს „შაგ გუთს“. ნამ. 1.1-ზე „შაგი ყუთის“ სახით მოყვანილია სისტემის მაგალითი, სადაც T არის სისტემური ოპერატორი



ნამ. 1.1

1.1. სისტემური ოპერატორები

უმარტივეს შემთხვევაში როგორც შესასვლელი U_{obj} , ასევე გამოსასვლელი სიგნალი U_{obj} , რომელსაც ასევე სისტემის გამოძახილს ან გამომავალი რეაქციას უწოდებენ, აღიწერებიან, როგორც ცალქეული დროის ფუნქცია. უფრო ზოგადად შესასვლელი სიგნალი წარმოიდგინება როგორც m განზომილებიანი გაქტორი $\vec{U}_{\text{obj}}(t) = \{u_{\text{obj},1}(t), u_{\text{obj},2}(t), \dots, u_{\text{obj},m}(t)\}$, ხოლო გამოსასვლელი სიგნალი - n განზომილებიანი გაქტორის სახით

$$\vec{U}_{\text{obj}}(t) = \{u_{\text{obj},1}(t), u_{\text{obj},2}(t), \dots, u_{\text{obj},n}(t)\}$$

თავა 11. უზრუნველყოფის სისტემის და მათი მათემატიკური მოდელები

12. $\vec{U}_{\text{შე}}(t)$ და $\vec{U}_{\text{გა}}(t)$ სიგნალების შებმის კანონი

ამ სიგნალებს შორის შებმის კანონი ავალებს სისტემურ თპერატორს T , რომლის ზემოქმედებით $\vec{U}_{\text{შე}}(t)$ მიიღება $\vec{U}_{\text{გა}}(t)$:

$$\vec{U}_{\text{გა}}(t) = T \cdot \vec{U}_{\text{შე}}(t) \quad (1.1)$$

მაგალითი 1.1. წარმოვიდგინოთ, რომ რაიმე სისტემა გარდაქმნის ერთგანზომილებიან შესასვლელ სიგნალს შემდგები კანონით

$$u_{\text{გა}}(t) = 15 \cdot \frac{du_{\text{შე}}(t)}{dt}. \quad \text{იმოვეთ სისტემური თპერატორი.}$$

ამოხსნა: ამ შემთხვევაში სისტემური თპერატორი შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით $T \equiv 15 \cdot \frac{d}{dt}$.

მიღებული გამოსახულებიდან უშუალოდ გამომდინარეობს სისტემის სტრუქტურული სქემა, რომელიც შედგება მაშტაბური რგოლის (იდეალური გამაძლიერებელი) და დიფერენციატორისაგან.

იმისთვის, რომ სრულად განვსაზღვროთ ამოცანა, საჭიროა ასევე მივუთითოთ ფუნქციონალური სიგრცის **არე** $D_{\text{შე}}$, რომელსაც ეწოდება **შესასვლელი** ზემოქმედებების დასაშვები მნიშვნელობა. **არის** მოცემა აღწერს შესავალი სიგნალების ხასიათს, რომლებიც შესაძლებელია იყოს უწყვეტი ან დისკრეტული, დეტერმინირებული ან შემთხვევითი. ანალოგიურად ასევე უნდა იყოს მითითებული გამოსასვლელი სიგნალების დასაშვები მნიშვნელობა $D_{\text{გა}}$.

ამ ნაწილში განიხილება მხოლოდ სისტემები, რომლებზეც ზემოქმედებენ ანალოგური სიგნალები. დისკრეტული და ციფრული სიგნალების გარდაქმნა ისწავლება მე-8 თავში.

სისტემის მათემატიკური მოდელი ეწოდება სისტემური თპერატორის T და სიგნალების ორი დასაშვები $D_{\text{შე}}$ და $D_{\text{გა}}$ არეების ერთობლიობას.

სისტემების კლასიფიკაცია ტარდება არსებული მათემატიკური მოდელების მნიშვნელოვანი თვისებების გათვალისწინების საფუძველზე.

1.3. სტაციონარული და არასტაციონარული სისტემები

მიღებულია გამოთქმა, რომ სისტემა არის სტაციონარული, თუ მისი რეაქცია არ არის დამოკიდებული დროის იმ მომენტზე, როდესაც მას მიეწოდება შესასვლელი სიგნალი. თუ T - სტაციონარული სისტემის ოპერატორია, მაშინ ტოლობიდან

$$\vec{U}_{\text{გაშ}}(t) = T \cdot \vec{U}_{\text{შე}}(t) \quad (1.2)$$

გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი t_0 -ური მნიშვნელობისათვის

$$\vec{U}_{\text{გაშ}}(t \pm t_0) = T \cdot \vec{U}_{\text{შე}}(t \pm t_0). \quad (1.3)$$

სტაციონარულ სისტემებს უწოდებენ ასევე დროში მუდმივი პარამეტრების მქონე სისტემებს.

თუ სისტემის თვისებები არ არის ინვარიანტული დროის ათვლის დაწყების არჩევის მიმართ, მაშინ ასეთ სისტემას უწოდებენ **არასტაციონარულს** (სისტემა დროში ცვალებადი პარამეტრებით ან პარამეტრული სისტემა).

ორივე აღნიშნული კლასი ფართოდ გამოიყენება რადიოტექნიკში და შეისწავლება ამ კურსში.

1.4. წრფივი და არაწრფივი სისტემები

სისტემების კლასიფიკაციის უმნიშვნელოვანესი პრინციპი ეფუძნება იმას, რომ განსხვავებული სისტემები განსხვავებულად იქცევიან იმ დროს, როცა შესასვლელზე მიეწოდება რამდენიმე სიგნალის ჯამი. თუ სისტემის ოპერატორი ისეთია, რომ ჰქონდა ტოლობა

$$T \cdot (\vec{U}_{\text{შე},1} + \vec{U}_{\text{შე},2}) = T \cdot \vec{U}_{\text{გაშ},1} + T \cdot \vec{U}_{\text{გაშ},2},$$

$$T \cdot (\alpha \vec{U}_{\text{შე}}) = \alpha \cdot T \cdot \vec{U}_{\text{შე}}, \quad (1.4)$$

სადაც α - ნებისმიერი რიცხვია, მაშინ მოცემულ სისტემას ეწოდება **წრფივი**. (1.4) პირობა გამოხატავს **სუპერპოზიციის** ფუნდამენტალურ პრინციპს.

თუ ეს პირობები არ სრულდება, მაშინ ასეთი სისტემა არის **არაწრფივი**.

მაგალითი 1.2. არსებული სისტემა ასრულებს შესასვლელი სიგნალის დამუშავებას შემდეგი კანონით:

$$u_{\text{გაშ}}(t) = \left[\frac{d}{dt} + \alpha \right] u_{\text{შე}}(t)$$

უშუალო შემოწმებით ვრწმუნდებით, რომ (1.4) პირობები სრულდება. მაშასადამე, მოყვანილი სისტემა წრფივია.

მაგალითი 1.3. რაიმე სისტემა მუშაობს როგორც იდეალური კვადრატორი $u_{\text{გაშ}}(t) = u_{\text{შე}}^2(t)$ აღგორითმის შესაბამისად.

თავა 11. უზრუნველყოფის სისტემის და გათი გათიშვრის მოდელები

შესასვლელზე ორი სიგნალის $u_{\text{შე}1} + u_{\text{შე}2}$ ჯამის მიწოდებისას გამოსასვლელზე მივიღებთ $u_{\text{გა}} = u_{\text{შე}1}^2 + 2u_{\text{შე}1}u_{\text{შე}2} + u_{\text{შე}2}^2$.

გადაჯვარედინებული შესაკრეფი $2u_{\text{შე}1}u_{\text{შე}2}$ არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ მოცემული სისტემა არის არაწრფელი.

უცრო-ზუსტად-რომ უცრო-ზუსტად-ზუსტად-ნისტრუმენტი, რომელსაც შეხება აქვს რადიოტექნიკასთან, ამა თუ იმ ხარისხით არის არაწრფელი. მაგრამ არსებობს მრავალი სისტემა, რომელიც ზუსტად აღინიერება წრფივი მოდელებით. პრაქტიკულად ყოველთვის შესაძლებელია უგუვებელყოფო რეზისტორების, კონდენსატორების და ზოგიერთი ინდუქციური ელემენტების არაწრფივობა.

არაწრფივი რადიოტექნიკური მოწყობილობები შეიცავენ ისეთ ელემენტებს, როგორებიც არის ნახევარგამტარი დიოდები და ტრანზისტორები, რომელთა ვილტ-ამპერულ მახასათებლებს აქვს რთული სახე.


არაწრფივი სისტემების თეორია, როგორც წესი, საკმარისად როგორია. შედეგების მიღება ანალიზურად უმეტეს შემთხვევებში არ არის შესაძლებელი. მაგრამ სწორედ არაწრფივი ელემენტების გამოყენებით მიღება რადიოტექნიკური სიგნალების მნიშვნელოვანი გარდაქმნები. არაწრფივი რადიოტექნიკური ხელსაწყოების ანალიზის და გამოთვლის მეთოდები მოყვანილია თავი IV-ში.

* **წრფივი სისტემები შესანიშნავია იმით, რომ თეორიულად მაინც შესაძლებელია ამ სისტემით ამოვხსნათ ნებისმიერი შესავალი სიგნალის გარდაქმნის ამოცანა.**

15. თაგმოყრილი და განაწილებული სისტემები

რადიოტექნიკური სისტემების კლასიფიკაციის სხვა კრიტერიუმი უფრონება სისტემის ფიზიკური ზომების და ტალღის მუშა სიგრძის შეჯერებას. თუ სისტემის მახასიათებელი ზომა (მაგალითად, წრფის შემაერთებელი მავრულების უდიდესი სიგრძე) აღმოჩნდება ტალღის სიგრძეზე გაცილებით ნაკლები, მაშინ მიიღება თაგმოყრილი სისტემა.

თაგმოყრილი სისტემის მაგალითები ინტეგრირული მიკროსქემების სახით მოყვანილია ნახ. 12-ზე



ნახ. 1.2

თავმოყრილ ელექტრულ წრედში ყოველთვის შესაძლებელია გამოიყოს ფიზიკური არეები, სადაც ლოკალიზირებულია ელექტრული ველის (კონდენსატორები) და მაგიტური ველის (ინდუქციური ელემენტები) ენერგიები. თავმოყრილი წრედის თვისებები უმინშენელოდ არის დამოკიდებული შემაერთებელი მავრულების კონფიგურაციაზე, ამიტომ მათი აღწერისათვის მიღებულია მათი აბსტრაქტული მოღელების გამოყენება ანუ ეგრეთწოდებული პრინციპიალური სქემები.

რადიოტექნიკის თავმოყრილ სისტემებში ფართოდ იყენებენ რამდენიმე ასეულ მეცნიერცამდე მუშა სისტემებს. რადიოტექნიკის თავმოყრილი სისტემების ანალიზი და გამოთვლები ტარდება ცნობილი კირხპოვის კანონების გამოყენებით.

რამდენიმე ათას მეგაჰერც სისტორებზე, ეგრეთწოდებულ ზემაღლსისშირულ დიაპაზონში (СВЧ), დიდი რაოდენობის ხელსაწყოების ზომები შესაძლისია გადამცემი რხევების ტალღის სიგრძისა. ამ შემთხვევაში აუცილებელია აღირიცხოს სიგნალის გავრცელების დრო. ასეთ მაღალსისტირულ დიაპაზონში ელექტრული წრედები უკვე აღარ გამოიყენება და მათ ნაცვლად გამოიყენება განაწილებულპარამეტრიანი სისტემები (განაწილებულებიანი ან ტალღური სისტემები). ისე, რომ შემაერთებელი გამტარი მავრულების ნაცვლად გამოიყენება ფოლადის მიღების მონაკვეთები – ტალღასატარები (იხ. ნახ. 13), რხევითი LC -კონტურების ნაცვლად – მათი განაწილებული ანალოგები, რომლებსაც უწოდებენ მოცულობით რეზონატორებს.

განაწილებული სისტემების თეორია, ანალიზის მეთოდები და პროექტირება საქმარისად როლია და შეადგენს ცალკეული რადიოტექნიკური საგნების შესწავლის საგანს.

ჩვენი შესწავლის საგანს წაროადგენს თავმოყრილ პარამეტრიანი წრფივი ნახ.

13

სტაციონარული სისტემები.

